დანართი №2

თსუ იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს არჩევის წესი და კვოტები

1. ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს შესაბამისი პროგრამული მიმართულების სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი.
2. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები აირჩევიან შესაბამისი პროგრამული მიმართულების პროფესორთა კრებაზე ღია კენჭისყრით. პროფესორთა კრება ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს. კენჭისყრის შედეგები ჯამდება სათანადო ოქმით. კანდიდატების დასახელება ხდება კრებაზე. პროგრამული მიმართულების თითოეულ წევრს შეუძლია საკუთარი კანდიდატურის, ასევე სხვა კანდიდატურების დასახელება. ყოველ კანდიდატს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად. უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი (კანდიდატები) ხდება ფაკულტეტის საბჭოს წევრი. თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. განსაკუთრებულ შემთხვევაში, პროგრამული მიმართულების პროფესორს უფლება აქვს კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღოს ინტერნეტ (ონლაინ) კომუნიკაციის მეშვეობით.
3. ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩეული აკადემიური პერსონალის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის შესაბამისად. აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის გასვლის ან აკადემიური თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების შემთხვევაში (დეკანის შემთხვევაში დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში) პირს უწყდება ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსი. ფაკულტეტის საბჭოს ვაკანტური ადგილის დასაკავებლად იმართება განმეორებითი არჩევნები ამ ბრძანებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით.
4. ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის შემთხვევაში ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრობის უფლებას.
5. იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება 35 წევრით, მათ შორის: დეკანი; სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელი - 7 წევრი; პროგრამული მიმართულებებიდან არჩეული 27 აკადემიური პერსონალი, მათ შორის: სამართლის ისტორიის მიმართულებით - 4, კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით - 4, ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით - 4, საერთაშორისო სამართლის მიმართულებით - 4, კერძო სამართლის მიმართულებით - 4, სამართლის მეთოდების მიმართულებით - 3, სისხლის სამართლის მიმართულებით - 4.